მოქალაქეობის საკითხთა კომისიის

დადგენილება №3

2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 4 სექტემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოქალაქეობის საკითხთა კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 4 სექტემბრის №1 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04/09/2018 წ., 010110000.69.081.016001) დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად აუცილებელი სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შესამოწმებლად ტესტირებისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების პირობების არსებობის დადგენა;“.

მუხლი 2

1. ეს დადგენილება, გარდა პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2024 წლის 1 მაისიდან.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოქალაქეობის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თამუნა აკობია**